რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა. . . 9 მან. — სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა. . . 5 მან. — ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

დღეს ხუთშაბათს, 7 ამ თვისას «იტალიის» ბაღში იქნება

## ჭიდაობა

გლდანელისა მიხეილ ხაბაზიშვილთან გლდანიდამ საღამოს 6 საათზედ.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

**სარატოვი**, 4 ივლისს. მომეტებულმა ნაწილმა კალიისამ ცარიცინის მაზრაში ფრთები შეისხა. ორი ბატალიონი მუშაობს მის გასაჟლეტად.

**რიაზანი**. ყანებს გაუჩნდა გესენის ბუზი საპოჟკოვის მაზრაში და ძალიან ახდენს.

**ხარკოვი**. 1 ივლისს ღამე გადიწვა მთელი გაყოლება დუქნებისა, ზარალი დიდია.

**კაირი**. გეზში, კაირის გარემოში, ხოლერისაგან მოკვდა ხუთი კაცი, კარდონია შემორტყმული. ვაგრაში ხოლერისაგან მოკვდა ექვსი კაცი.

**ლონდონი**. იაპონიამ უარი გამოუცხადა საფრანგეთს ნინეთის წინააღმდეგ კავშირის შეკვრაზედ.

**ყაზანი**, 5 ივლისს. საგუბერნიო ერობის ყრილობამ გადასწყვიტა: დაურიგდეს ხალხს მინდვრების და სათესავი თესლეულობისთვის ერთი მილიონი მანეთი.

**ძველი რუსა**. დღეს, ღამის პირველ საათზედ გაჩნდა ცეცხლი და აქამდე ორი ქუჩა გადაიწვა.

**ალექსანდრია**. ხოლერა თან-და-თანა ძლიერდება ეგვიპტეში. უნდათ ალექსანდრია მთლად გაასცალკევონ.

## ახალი ვეტლიანკა და ქვეშეთის კანონ-მდებელი

თბილისი, 6 ივლისს.

სათაური ამ წერილისა მართლა გასაკვირველია. ვეტლიანკა თუ მოგეხსენებათ, არის პატარა ქალაქი ვოლგაზედ, სადაც ამ ხუთის წლის წინად ხალხის ჭირი, ანუ ჟამი გაჩნდა, რომლის საბრძოლველადაც იყო გაგზავნილი ლორის-მელიქოვი. ეს მხალი ვეტლიანკა დარიელის ვიწროებში გამოუჩენია მთის ბოქაულს და კარანტინიც შემოურტყავს.

ქვეშეთს კი, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი, რა დავარქვა? ეს არც სოფელია, არც დაბა, არც ქალაქი; სძევს მლეთესა და ფასანაურს შუა; პირველიდამ ოთხს ვერსზედ და მეორედამ თოთხმეტ ვერსზედ. აქ ბძანდება მთის ბოქაული, ახალის დროის მთიულეთის მბძანებელი, რომელიც ემორჩილება დუშეთის მაზრის უფროსს. მთის საპრისტაო თავის ტერიტორიის (ადგილის) სივრცით თითქმის სჭარბობს მონაკოს სამფლობელოს; თვით ბოქაული კი, ანუ პრისტავი, კანონით უბრალო მეთვალ-ყურეა, ალმასრულებელი თავის მეუფროსის ბძანებისა, მაგრამ რასაც კანონი არ აძლევს, მას თავისთვის თითონ შეუთავაზებია. ისეთი დრაკონის კანონები გამოუცია, რომლის უფლებაც მხოლოდ ხელმწიფესა აქვს და კონსტიტუციონალურს სახელმწიფოებში სადეპუტატო პალატას და სენატს. შეისმინეთ და გაოცდით! სტეფან წმინდის (ყაზბეგის) ქვევით, თერგს გაღმა, თვალ აუწვდენელის მთების ძირში, არის მიკრული ერთი პატარა ქისტების სოფელი, სახელად გველეთი. გველეთი არ შეადგენს მარტო ქურდების და ავაზაკების ბუდეს. იქაური ქისტებიც, როგორც მათი მეზობელი მოხევეები, მუშაობენ გზაზედ, ქირავნობენ და მწყემსობენ. ეხლა მიბძანებულა იქ ახალი მოურავი ბ. ბერიძე და მთელი სოფელი ქურდებად და ავაზაკებად გამოუცხადებია. მართალია გველეთელები ბერიძეს ხელ-შეკრულები არ გამოუგზავნია დუშეთის სატუსაღოში, მაგრამ ის სასჯელიც, რომელიც იმას მათთვის განუწესებია, კანონის ენით, რომ სთქვათ, «შინაური დატუსაღებაა«. თუმცა მოწყალე ბოქაულს გველეთელებისთვის კავკასიისკენ ხელი გაუშვერია და უბრძანებია: წადით იქ და რამდენიც გინდოთ იქურდეთო, მაგრამ ის უბედურები ამ მოწყალებითაც ვერ ისარგებლებენ, რადგანაც ყაზახები სტეფან წმინდაში არ უშვებენ, რომლის საზოგადოებასაცა ისინი ეკუთვნიან და თუ მამასახლისის ბილეთს არ აილებენ დარიელის გასავალში კავკასიისკენ ფეხსაც არ გაადგმევინებენ. მაშასადამე, გველეთლები თავიანთ ვიწრო კლდეებში უნდა იყვნენ შემწყვდეულნი, სადაც არც სახნავი აქვთ, არც სათესი, არც საძოვარი და ანუ სიმშილით უნდა ამოწყდენ, ან არა და იარაღით გზა გაიკაფონ და თავს როგორმე უშველონ. რასაკვირველია, ვერც თითონ ბერიძე და ვერც მისი პირდაპირი მეუფროსე ვერა გრძნობენ, რომ მთელი სოფლის ყველა უფლების ჩამოხდა მათ არ შეუძლიანთ და ამისთანა თავხედობისთვის, შეიძლება, თითონ ჩამოხდენ ყველა უფლებიდამ. პოლიციის პირდაპირი მოვალეობაა ყველაფერზედ და ყველაზედ მახვილი ყურადღება იქონიოს და მინამ ზედ დანაშაულობაზედ არ მოასწრობს, ბევრი ეჭვით რომ ჰქონდეს ვისიმე ავ-კაცობაზედ, არ შეუძლიან ხმა გასცეს. ლონდონის პოლიცია სულ სათითაოდ ჩამოგითვლის ყველა ჯიბგირებს, ქურდებს, შულერებს და სხვ., მაგრამ არც ერთს უბრალო პოლის მენსაც არ გაუვლის თავში იმისთანა ტიტოური აზრი რომ რომელიმე მათგანი საზოგადო მიტინგზედ (ყრილობაზედ), ან სხვაგან სადმე არ მიუშვას—მოიპარავთ რასმეო. ის, როგორც მონადირე ნიშანში ამოღებულ ნადირს, საეჭვო კაცს თვალს არ აშორებს და მანამ ზედ არ წაასწრობს, ყველა ხელობით შულერი და ჯიბგირი არის თავისუფალი და სრულის უფლებეების მექონე მოქალაქე. ბ. ბერიძემ კი გველეთელები გზაზედ სამუშაოდაც არ

«დროების» ფელეტონი 7 ივლისი.

## პროვინციალურ მასწავლებლის რჩეულნი სტუმარნი.

ხშირად საწყალ ჩვენ მწერალს ემდურებიან, რომ მკითხველის საზოგადოებისთვის ეძიებს სევდით შეკაზმულ ამბებს მისართმევადაო; ცდილობს პაწაწა ტანჯვა დიდად გაახვიადოს, პაწაწა უსამართლობა დიდად დახატოს და არიან ისეთნიც, რომელნიც ყოველ ამის მოგონებასაც გვწამებენ! ჰო, რა რიგის სიამოვნებით შევიწყებდით ყველა ხალხის მტანჯველებს, «ყლაპიებს», სახელმწიფო ქონების მცარცველებს, ხალხის გონების დამაბრმავებლებს, რომელნიც მღვრიე წყალში თევზებს იჭერენ, —ერთის სიტყვით ყველას, ვინც კი იერიშით მიდის ამ ქვეყნის დღეზედ, რომ იგი უკუნ ღამედ აქციოს, —ოღონდ თითონვე თავიანთ დამამხობელ ოინებით ჯამში არ გვიცვივოდენ. აი დღესაც, ამ მშვენიერ დილას, ჩემს ფუფუნებით ალევსილ ოთახში, მინდა წერით რამე სასიამოვნოზე გავერთო მკითხველთან, მაგრამ ჩემთან სხედან ჩემი ორი ნაცნობი სოფლის მასწავლებელი, რომელთაც, ჩემთან ერთად, ვინ იტყვის თუ როგორ სულითა და გულითა ჰსურთ გვქონდეს ბედნიერი სოფლები, სადაც ბეღლები და კალოები პურით სავსე იყოს, სადაც მშვენიერი სკოლები კაცს გულს უტაცებდენ, ხალხს კმაყოფილების გამომხატავი სახე ჰქონდეს, ყველას უწინდებულად წინ ხიზილალა და დოში ედოს... რიგიანი სამართალი ჰქონდეს, რიგიანი მმართველნი ჰყავდეს...

მაგრამ ეს სულ ოცნებაა და აი ნამდვილი ცხოვრება კი რა სურათებს გვიხატავს:

მიდის სოფელში წვრილ-ფეხა, თუ მსხვილ-ფეხა მაზრის მოხელე. ჩვეულებისამებრ ქართველთ პურ-მარილ მოყვარეობისა, სოფელი უნდა გაუმასპინძლდეს სახლით და ხორაგით. სამასპინძლო სახლად, რომელ სოფელშიაც კი სკოლაა, უეჭველად ეს უკანასკნელი მიაჩნიათ. ჯანდაბას კიდევ, რომ ეს რჩეულთათვის იყოს, მაგრამ არა—მოდის ამ გვარ სოფელში ურიადნიკი თუ «პერეოდჩიკი», აქციზის ჩინოვნიკი, ბოქაული, ერთის სიტყვით ყველა წვრილ-ფეხა,— მამასახლისისაგან, ულუფას გარდა, «მხრის დამამშვენებლად» თხოულობს «ტოლ კაცს» და სახლსაც, რასაკვირველია, რიგიანს. მამასახლისისა და სტუმართ ფიქრითაც, ამათი საკადრისნი სკოლაა და სკოლის მასწავლებელი. მასწავლებელიც ამ დროს უეჭველად ისეთ გარემოებაში ჩავარდება ხოლმე, რომ უნდა მიიღოს «ჰამქარი», რადგან მომეტებულად ესენი არიან მაზრის დამქაშნი—გაქნილის სიტყვა-პასუხის პატრონნი. მიღებას თაბაუთი არ ექმნება, თუ მასწავლებელი მათ შუბლ გახსნილი არ დაჰხვდა და მათ გაცვეთილ ლაპარაკსა და ქცევას, თუნდ ეზიზღებოდეს კიდეც, ღიმილით არ უმზირა. მხოლოდ ამითი დაიმსახურებს ამათ თქმას «კაი ყმაწვილიაო», თორემ შენი მტერი... მაგრამ მოიფიქრეთ რად გიჯდებათ ეს დაძახება და!! გარდა საზიზღარ ლაპარაკის მოსმენისა—შენ თვალ-წინ საზარელ ოინებსა ჰხედავ: ან სცემენ რომელსამე გლეხს, ან წაართმევენ რაიმეს უკანონოდ—ერთის სიტყვით ამ გვარი მასალა ბევრ მასწავლებელს დასტა-დასტა უწყვია. აი მაგ. ამ გვარი სტუმართ მისვლა ზოგჯერ რა საზარელ ოინებს ახდენს:

ს. საგარეჯოში მისულა სტუმრად ახალ-გაზდა მეტყევე—«ლესნიჩი» და მითომ ამ დროის გოჭივით ყველაში გაქნილი—მასწავლებელს არ აკლებს თბილ-თბილ სიტყვებს სკოლაზე, გლეხ-კაცობაზედ, თუმცა ამას არავინ არ ავალებს, მაგრამ ცდილობს არ ეჩვენოს უგულო კაცად და ის იგულისხმეთ მერე რომ ამ გვარ სტუმრებს მასწავლებელი რაღაც ჯურა კაცად მიაჩნიათ, რომელმაც თუ «სათნოდ» არ გიცნათ, გულს არ გაგიშლით. მაგრამ «გოჭი რაც გინდა გასალახანდეს, მკვდარს სულს ვერ აუხსნის»—ჩვენი ხალხი იტყვის ხოლმე. აი სამი დღე სტუმრობს სასწავლებელში ეს ბატონი და უცებ გაიგებს, რომ სკოლისთვის სალობათ

მიუშვა, ამ ცოტას ხანში გადმოქცეულის კლდის გასაწმენდად... სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენმა სიტყვამ თუ ჯეროვან ადგილას მიაღწია, ბერიძე სასტიკად დაისჯება ამისთანა კანონმდებლობის უფლების მითვისებისათვის, მაგრამ უსამართლობა იქნება მისი დასჯა. აი რათა: სალის ჭკუისა და კანონის ძალითაც ყმაწვილის და სრულ ჭკუას მოკლებულის დანაშაულის პასუხის მგებელნი არიან მათნი მშობელნი, ან აპეკუნები, რომელთაც მოვალეობა აწევთ მზრუნველობა იქონიონ მათზედ. ბ. ბერიძის და ყმაწვილის შუა, როგორც ყმაწვილის აპეკუნის და ბერიძის პრიტეკტორის შუა სრული ანალოგიაა. იცით ვინ არის ეს მთის მოურავი, რომელსაც თვისი მოვალეობა და ალაგის მნიშვნელობა ვერ შეუგნია? ეს გახლავთ ადრინდელი, დაწუნებული თარჯიმანი ახალ-ქალაქის მაზრის სამართველოსი...

## ახალი ამბები.

— იმერეთიდგან კიდევ საჩივარსა გვწერენ ცხენებისა და საქონლის ქურდობაზედ. ვერც ხევისთავი, ვერც ყარაული ამ საქმეს ვერასა შველისო, რადგან ქურდები ისე გაწვრთნილნი არიან, რომ «ეშმაკსაც გაუჭირდება» მათის კვალის პოვნაო. თუმცა ეს ასეა, მაგრამ სოფელი კი ყოველთვის იცნობს ქურდებსა და ავაზაკებს და რამდენჯერ მიუთითებია ნამდვილ ქურდზედ, მაგრამ უსაბუთობის გამო არას ახდენინებენო.

— ზუგდიდში თურმე პირველ-დაწყებითის ქალების სასწავლებლის გახსნას აპირებენ. ამ საქმის მოთავეობა უკისრნია პრინცესა მიურატისას, მთავრის დადიანის ასულს, რომელსაც 12-ს ივნისს სადილი გაუმართავს ხალხისთვის და გამოუცხადებია, რომ ამ სასწავლებლისათვის ქვითქირის შენობას მე აგიგებთ და ამას გარდა, წელიწადში ოც თუმანს მოგცემთ ობლებისა და ღარიბ შეგირდებისათვისაო. (კავკ.).

— 26 ივნისს ღამე ჩამოწოლილა მთა დაღესტანში და მთელი სოფელი სოკუხი ქვეშ მოუტანია. ხალხს კი თავისთვის უშველნია, მაგრამ ამ სოფლის მცხოვრებლებს, 25 კომლს, მთელი თავიანთი ქონება და პირუტყვი საქონელი დაღუპვიათ. ჩამოწოლილ მთას თურმე ექვსი კვადრატიული ვერსი დაუფარავს და რაც ამ სივრცეზედ დანათესი ყოფილა, რასაკვირველია, სულ გაუფუჭებია. (კავკ.).

— ვლადიკავკაზში საქონლის ჭირი ეს რამდენი ხანია რაცა ბუდობს, მაგრამ ამ დღეებში ამ ჭირს თითონ ვლადიკავკაზამდე მიუწევია და საშინლად აზიანებს თურმე საქონელს.

— ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ იქ გამოცემული «ვეფხვის-ტყაოსანი» თავ. პ. გ. წულუკიძისაგან. გამოცემა ძალიან სუფთა და ლაზათიანია, კორექტურის შეცდომებიც ცოტაა (რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთანა გამოცემაში), მაგრამ ერთი დიდი ნაკლულევანება აქვს: ეს ვეფხვის-ტყაოსანი ახალის შრიფტით არის დაბეჭდილი და ისიც წვრილით. კარგია კიდევ ვეფხვის-ტყაოსანი ისე გავრცელებულია ხალხში, რომ ეს გარემოება არას ავნებს მას, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ახალი რამ რომ გამოეცათ ამ შრიფტით, ხალხს ან ებრაული წიგნი ეგონებოდა, ან ბერძნული და იქნება შიგაც არ ჩაეხედნა. ვაი კორექტორის ბრალი! არა ერთი წყეული თვალი დაზიანდებოდა ამ პატარა წიგნის ბეჭდვის დროს. ეს წიგნი ღირს ათი შაური სურათით, მაგრამ სურათი არსადა სჩანს.

— ადრე შეცდომაში შეგვიყვანეს და რამდენიმე კომპლიმენტი ტყუილად დაგვახარჯვინეს დუშეთის მაზრის პოლიციის სიფთხილეზედ და გამჭრიახობაზედ. მაგ. გვატყობინებდენ, ვითომც დუშეთის ლეკოკებს ბაზალეთის მღვდლის მოლოდინოვის მკვლელები დაეჭიროთ. ეს ამბავი, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სიცრუე გამოდგა. მართალია დაუჭერიათ რამდენიმე ავი კაცი, მაგრამ სოფ. ალაიანის მღვდლის გამქურდავები და არა მოლოდინოვის მკვლელები, თუმცა უკანასკნელი დანაშაულიც მათ მოახვიეს კისერზედ შემდეგის ბრძნულის მოსაზრებით: თუ ეს ასეთ-ისეთები გორის მაზრაში ერთს მღვდელს მიუცვივდენ, უთუოდ დუშეთის მაზრელ მღვდელსაც ესენი მიუცვივოდენ; მაშასადამე, რაღა შორს სიარული გვინდა?.. მოლოდინოვის მკვლელები ვერ დაიჭირეს, მაგრამ დუშეთის პოლიციას არა სძინავს და მთის ბოქაული, ბ. ბერიძე, იმდენ ქურდებსა და ავაზაკებსა ჰგზავნის, რომ მალე ალაგსაც ველარ უშოვიან...

გაუმარჯოს ბ. ბერიძეს ამისთანა რეფორმების შემოღებისთვის, თორემ უწინ მთიდამ ხბორებისა და ბატკნების მეტი არაფერი ჩამოდიოდა. ეხლა კი მთის ბოქაულის წყალობით პროკურორი მჭევრმეტყველობით მაზრის „ბარიშნების“ გულს მოიგებს, ვექილიც დამტვრეულ წისქვილივით აჯაყჯაყდება რამდენსამე წუთს და, ვითომ ძნელის საქმის მოგებით სახელს გაიგდებს...

— დუშეთიდამ დიდს სამდურავს გვწერენ იქაურის სომხის მღვდლების ყოფა-ქცევაზედ. ამას წინედ ეკლესიაში შემოსილებს მოუვიდათ ჩხუბი; ერთმანეთი უშვერის სიტყვითა ლანძღეს და ცოტას გაწყდა, რომ მუშტზედ არ მიდგა საქმეო, ამბობს კორესპონდენტი. ჩვენის მხრით უნდა დავუმატოთ, რომ დუშელებმა სურფ-გეორქი უნდა ილოცონ, რომ ამისთანა ტერტერები ჰყავთ, თორემ ზოგიერთი იმისთანა დარდიმანდები ჰყოლიათ, რომ ღმერთმა მეორედ ნუღარ შეახვედროთ.

— სამს ამ თვისას ბათუმის სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს «ბუტიაობა» და «ესეც შენი მაჭანკალი». ამასთანავე რამდენიმე ცოცხალი სურათები დასდგეს მოხევის ხელ-მძღვანელობით «ქეთევან წამებულიდგან» და «ვეფხის ტყაოსნიდგან». სურათებმა მშვენივრად ჩაიარეს, მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვიტყვით თვით წარმოდგენაზედ.

წარმოდგენა გამართული იყო ნ. ერისთვის ასულის თაოსნობით ღარიბი სტუდენტის სასარგებლოდ. ნადია ერისთავის ასული ღირსია სრულის პატივის ცემისა ამ სასარგებლო საქმის თაოსნობისათვის.

«ესეც შენი მაჭანკალში» კარაპეტას როლი ბ. ბარხუდაროვმა სინიდისიანად შეასრულა. საზოგადოდ ამისთანა როლებს კარგა ასრულებს ბ. ბარხუდაროვი, მაგრამ «ბუტიაობაში» გიორგის როლში ისეთი სასაცილო რამ იყო ესეეე ბატონი, რომ მაყურებელი სიცილით მოკვდებოდა. ჯერ, რომ სრულებით არ იცოდა როლი და მერე ქართულად სულ ვერ ახერხებდა ლაპარაკს—მერე იმის მიხრა-მოხრა? ვურჩევთ ბ. ბარხუდაროვს ამისთანა როლებში ნუღარ გამოვა სცენაზე, რადგანაც სცენა კარგავს თავის დიდ მნიშვნელობას და მასხარაობათ ხდება. «ბუტიაობაში» პეპელას როლი ასრულა ქალბატონმა ღლონტისამ. ამას შეუძლიან გვარიანად წარმოადგინოს, მაგრამ ამის ლაპარაკის კილო სრულებით არ

---

«ზასტავასთან» მოაქვთ ურმით მარგილი, რომელიც იქაურ და ჯერედ გაუყოფელ ტყეში აზნაურს მოუჭრევინებია ფასით. მეტყევე ურემს აყენებს, აქტსაც ადგენს და იქვე «ტორგით» უპირებს გაყიდვას. მასწავლებელი, შემდეგ თხოვნისა, შებაასებით ეტყვის: რომ ამდენი დღე სკოლის სასახლეში სდგეხარ, თუ ხაზინა გებრალება, ეგ მარგილი სკოლას აჩუქეთ და ფული თქვენ მიეცითო. მეტყევეს ეს მკვახე სიტყვებათ მიაჩნია და იმართება მასწავლებელსა და იმას შუა სახალხოდ ბაასი—ვაჭრობით ამ მარგილებს იქვე ყიდულობს ერთი სომეხი და იქვე სკოლასა სწირავს. მასწავლებელი ამით მეტყევეს აჯავრებს—გამოჯავრებული მეტყევე დავის სარჩულს იჩენს—ეჩეჩება იქ ერთ საწყალ გლეხს, რომელსაც ვადა გასვლის შემდეგ ორი ურემი ჭიგო მოაქვს, ართმევს ამ ჭიგოს და იქვე ერთს ხალხის—ყლაპია ვაჭარს «ღალოს» აძლევს—ესეც მასწავლებლის გამოჯავრებით, რადგან ეს უკანასკნელი ესარჩლება საწყალ გლეხობას და არ ეჭაშნიკება ღალოები. ამით არა სცხრება მეტყევე—ცუდ კაცობის ხმასაც უყრის მასწავლებელს...

ეს ამბავი არაფერია მეორე საზარელ ამბავთან, რომელიც ჩაუდენია ერთ სიღნაღელ პრისტავს კაკაბეთის სასოფლო სკოლის მასწავლებელთან. ამ ოინბაზს, სკოლა პრისტავის ლაგერი ჰგონია და უგამარჯვებოდ, დაუკითხავად იქ ჩამოხტება ხოლმე ჩაფრებისა და იასაულების ხროთი. თუ სადმე სადილზე მასთან მასწავლებელი ზის, ბევრჯელ დაჰროშამს ხოლმე ამის მზგავსს სიტყვებს: «ჩვენ ეხლა ერთადა ვსვამთ ყველანი, მაგრამ ჩემი მოვალეობა ყოველთვის უნდა მახსოვდეს; იქნება ზოგმა აქ ისეთი სიტყვა სთქვას, რომ ეხლავ ხელებ შეკრული გავგზავნო». ხელებ შესაკვრელ ოინებს კი თითონ უფრო ბევრსა შვრება: ბევრი საზიზღარი ლაპარაკი გაუგონებია, ბევრის გლეხის კბილების მტვრევა უჩვენებია ამ ვაჟბატონს მასწავლებლისთვის; მაგრამ ვინა ჰკითხავდა ამას ამ შარიან დროში. ამ უკითხობამ კიდევ აი სადამდის გაარაინდა ეს ვაჟბატონი:

ეს პრისტავი მასწავლებელთან ერთად მიწვეულნი ყოფილან სადილზე სოფელში ვიღაცასთან.—სადილს უკან საათის ცხრაზე, როცა მასწავლებელი შინ დაბრუნებულა, პრისტავს მოუფიქრნია, რომ ვითომ იმანმე სადილზე რაღაც «აბიდა» მომცაო და ფიქრით, რომ მასწავლებელი ოთახში მარტო იქნებაო, შეიარაღებული, რევოლვერით ხელში სამის შეიარაღებულის ჩაფრით და ურადნიკით მივარდნია სკოლაში. ბედზედ მასწავლებელთან იმ ჟამად მჯდარა აზნაური გ. წერეთელი და პრისტავისვე ჩაფარს ყვირილით: «შენი ჭირიმე, მღვდელო, მობძანდი, თორემ აქ სისხლის ღვრა მოხდებაო» იქ მღვდელიც ა. ყანდარელიც მიუყვანია. ხალხიც ბლომად მოგროვილა სკოლის წინ ამ ჩოჩქოლზედ და ასე გადურჩენიათ მასწავლებელი მოკვლას, ან დასახიჩრებას. მაგრამ საშინელი ლანძღვა სკოლისა და მასწავლებლისა თორმეტ საათამდე გაგძელებულა. მეორე დღესაც პრისტავი გვერდით მდებარე და ამ სკოლაზედვე მიწერილ სოფელ ჩ.....ს შეჰყრის და სთხოვს,—განაჩენი დაადგინონ, რომ «უჩიტელი ბუნტოჩიკიაო». ხალხი ეუბნება: ჩვენ მაგისაგან სიკეთის მეტი არა ვიცითრაო. პრისტავი არა სცხრება, აბეზღებს მასწავლებელს ამის უფროსთან, სახალხოდ ცემასაც უპირებს—«როგორ თუ ჩემთან ის ეტოლებაო»; მასწავლებელიც მოთმინებიდან გამოსული, მთავრობას თხოვნას აძლევს, რომ სასამართლოს გადასცენ საქმე... მოდი და იცხოვროს ამ გვარ გარემოებაში კაცმა, სადაც არავინ იციან, ვინ ვის უნდა ეტოლოს... ამით ვათავებ ლამის დღეზე იერიშით მისვლას—თუმცა მაგალითები ძლიერ ბევრი დამრჩა.

შაქრო.

ეშესაბამება ძეკელას როლსა. მრთობ კეკლუცობდა სცენაზე, თითქო კლუბში კავალერს ელაპარაკებაო. ამიტომ ვურჩევთ ამ ქალბატონს ისეთი როლები აირჩიოს ხოლმე, სადაც მარტო კეკლუცობა იყოს საჭირო. ძირაკუზას როლი მშვენივრად აღასრულა ძლდიაშვილმა. ბატონს ყიფიანს ურჩევთ ბიჭის როლი აიღოს ხოლმე ყოველთვის, ეს როლი იმისთვის არის გამოჭრილი. სხვებს ისეთი როლები ჰქონდათ, რომ იმათზე არა ღირს ლაპარაკი.

ბატონმა მოხევემ მაჭანკლის როლში ჩემზე პირადად ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება.

ქართლიდამ გვწერენ: სოფელს ქვ. ნიქოზში ერთმა აზნაურმა, გვარად ნამორაძემ, ცოცხის გლეჯის დროს მინდორზედ ნაპოვნი ახალ მოდაზედ, სუფთად, ჩაცმული ქალი მოახლედ დაიჭირა. ქალის იღბალზედ ბილეთიც არ მოუთხოვნიათ. ერთს მშვენიერს ღამეს, როდესაც ნამორაძეს ბლომა სტუმრები ეყოლება და ქეიფის შემდეგ ყველას ღრმად ჩაეძინებათ, ეს მოახლე ადგება გამოჰკრავს რაც ტანისამოსი მოეწონება ვაჟისას, თუ ქალისას და გაჰქრება შარშანდელი თოვლივითა. დღესაც ეძებენ და ვერ ჰპოვებენ. თურმე, როგორც მნახველნი ამტკიცებენ, ის კაცი ყოფილა ქალურად ჩაცმული და, რომ არავის გაესინჯა, თან ბებუთი დაჰქონდა. როდესაც ჰკითხავდნენ, რად გინდა ეგ ბებუთიო, უპასუხებდა: „მე ნამუსიანი ქალი ვარ და, თუ ვინმე ჩემი გაუპატიურება მოინდომა, ამით მოუსპობ სიცოცხლესო.

სამტრედიიდამ გვწერენ: ჩვენს სამტრედიაში გახლავთ გამოგზავნილი სამი ჩაფარი ბ. ქუთ. მაზრის უფროსის განკარგულებით, რომელნიც აქაურს პრისტავს ახლავან, ამათთვის გვიბრძანა პრისტავმა აუშენოთ სადგომი სახლი და თავლა. ამაზედ პირ-და-პირ უარი გამოვაცხადეთ, რისთვისაც ბ. პრისტავმა დიდი შეურაცხყოფა მოგვაყენა—არ ვიცით რა სიმდიდრე ნახა ჩვენში რომ ჯარის კაცებს სახლები ვუშენოთ, მერე წრეულს, როდესაც ყოველ-გვარი ალებმიცემობა დაცემულია და პატენტის ფულს ძლივს ვახერხებთ?

## «დროების» კორესპონდენცია.

ბათუმი, 4 მკათათვეს. გაგვიჭირეს საქმე ამ დამოყნის ჩინოვნიკებმა. ჯერ წინათ მალიან სასტიკად ეპყრობოდნენ მგზავრებს, და ახლა შენს მტერს, რაც ჩვენ დღეს გვაყრიან ეს კურთხევის შვილები. იქამდის მიაღწია ამ ჩინოვნიკების სასტიკობამ, რომ ერთმა დამოყნის წევრთაგანმა ბ. არსენიევმა ერთ მგზავრს კინაღამ სამოვარზე ბაჟი გადაახდევინა,—სამოვარზე, რომელიც თვით რუსეთში კეთდება და არა სამზღვარს გარეთიდგან მოაქვთ. ამავე ბატონმა ერთ მგზავრს ქუთაისიდგან მოტანილ ძველ ჩვენებურს ხის აკვანზე, რომელიც სულ ორი მანეთი ღირდა, ბაჟი გარდაახდევინა მანეთ ნახევარი! აკვანი იყო ჩვენში გაკეთებული, იმას ევროპიული არა ეტყობოდა რა.!! თუმცა სტანციაზე არის გამოცხადებული, რა ნივთებს აძევს ბაჟი და რას არა, მაგრამ ეს არსენიევი და მეორე წევრი დამოყნისა გრიელსკი სრულებით არ უყურებენ გამოცხადებულს კანონებს. უვმლა მგზავრი კითხულობს ამ დამოყნის განცხადებაებს და ამის დაგვარად უიდულობს რამეებს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ბაჟს არ გამოართმევენ, მაგრამ ეს ორი წევრი ამ განცხადებაებს ყურს არ უგდებენ და რაც უნდათ, იმას შვრებიან. თუ სამოვარზე და აკვანზე ბაჟს თხოულობენ, ცხადია რომ ეს ბატონები უბაჟოთ არაფერს უშვებენ. იქამდის თავს გასულან ეს ბატონები, რომ ქალსა და კაცს ერთ ნაირად უჩხრეკენ უბეს და ჯიბეს. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ დამოყნის მთავრობას არ ესიამოვნება ეს ამბები, თუ შეიტყო, რადგანაც ამისივე ბრძანებით აკრულ განცხადებაში სრულებით არა სჩანს ის სასტიკობა მგზავრებთან, რასაც ეს ორი წევრი შვრებიან.

## წერილი რედაქციისადმი.

ანანურის «ზასტავის» უფროსი დიდი ხანია, რაც ცნობილია თავისი უკანონო და უსინიდისო ქცევითა. ის არამც თუ კანონით დადებულზედ მეტს ახდევინებს გამვლელ-გამომვლელს, ანანურს ზევით ტყეზედ მიმავალ ბილიკებზედაც არავის უშვებს და ყაჩაღივით წინ უხვდება,—გინდა, თუ არა სახელმწიფო გზაზედ გამოიარე და ბაჟი მომეციო. აი ფაქტებიც. შარშან გაზაფხულზედ მიხეილ კობიაშვილის მწყემსებს ცხვარი მიუდიოდათ მთაში და ანანურის ზასტავას აცილეს, ეს ბატონი დაუხვდათ წინ თავის ყარაულებით, მეცხვარები დატყვევა (რა ქნან, რომ კაკარდის შიში აქვთ, თურემ...) და ცხვრები წაართვა. გასულს მაისში ერთი მთავარი მიდიოდა ზევით ცოლით იმავე საცალფეხო გზით; იმასაც წინ დაუხვდა და ცოლთან შეურაცყოფა მიაყენა, ამ მთავარს ეხლა პირ-და-პირ თ. დონდუკოვთან უჩივლია. ეხლა მეცა მხვდა მისი პატიოსნური და კანონიური ქცევის ნაწყვეტი. ამ თვის პირველს ულოცრივ მომიხდა მთაში წასვლა და დუშეთის ხაზინიდამ ავიღე საგზაო ქაღალდი (პოდაროჟნაია) ფასანაურამდე. რასაკვირველია, ანანურის ზასტავაში ბაჟი უნდა გამოერთმიათ მარტო დუშეთიდამ ფასანაურამდე, მაგრამ, ამის მაგიერ, მთელი გზისა გადამახდევინეს: თბილისიდამ კაკავამდე. მე სხვასავით აყალ-მაყალი არ ვიკადრე ამისთანა ცარცვაზედ და ცხრა აბაზი თავში ვახალე.

ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ: თუ ჩემისთანა კაცს, რომელსაც კანონიერების და უკანონობის გარჩევა შეუძლიან, ასე სცარცვავენ ანანურის ზასტავაში, იმ საწყალს მთიულებს რაღას უზმენ, რომელთაც ყველა კაკარდიანის დამთქნარება კანონი ჰგონიათ!

დავით კეზელი.

P. S. უმორჩილესად ვსთხოვ «კავკაზის» რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

უხელო ქალი. ერთს სამძღვარ გარეთულ გაზეთს ატყობინებენ პეტერბურღიდგან ევროპის და ამერიკის ყველა ქალაქებში ცნობილის უხელო ქალის, ეკატერინე რიცის, სიკვდილს. ეს ქალი დაიბადა 1841 წელს ედინბურგში სრულიად უხელოდ და ყმაწვილობიდამვე იძულებული იყო შესჩვევოდა უხელობას. ეკატერინე რიცი ხელების მაგივრობას ტუჩები უშვრებოდა, რომლითაც ის სხვათა შორის ასრულებდა ყოველ ნაირ ქალის ხელოვნურ მუშაობას; ამ გვარობაში ეკატერინე ისე დახელოვნებული იყო, რომ პირით ნაწარმოებ ნივთებისათვის არა ერთხელ მიუღია ჯილდო სხვა-და-სხვა გამოფენებზე. ეკატერინემ განიძრახა სხვა-და-სხვა ქვეყნებში მოგზაურობა თავის ხელობის საჩვენებლად; ამ გვარმა მოგზაურობამ მისცა მას კაი მალი ქონება; გარდა ამისა არა ერთხელ მიუღია მას მვირფასი საჩუქრები სხვა-და-სხვა ხელმწიფეებისაგან და დაუმსახურებია მათი ყურადღება.

—

ქალების განათებული თავები. არავისთვის ისე დაუდგრომლად არა მუშაობს კაცის გონება, როგორც კაცებისავე გასაყლეტ იარაღების და ქალების ტანისამოსის და სამკაულის მოსაგონებლად. აგერ გამოჩენილა ერთი ვიღაც ინჟინერი ფრიმენი, რომელსაც იმის მაგიერ, რომ რამე სასარგებლო საგანზედ დაეხარჯა ტვინის ძალა, ქალების ქარაფშუტობის დასაკმაყოფილებლად მოუხმარია. იმას მოუგონია პატარა, თხილის ოდენა ლამპები, რომელნიც ქალებს შეუძლიანთ თმაში გაიმაგრონ და ელექტრონით განათებულის თავებით იარონ, ბ. ფრიმენი ბოდიშს იხდის ქალებთან, რომ ამ სიამოვნების მისაღწევად პატარა უსიამოვნობა უნდა დაითმინოთო, მაგ, ხუთ გირვანქიანი ელექტრონული ბატარეა სადაც მოუხერხებათ, იქა უნდა გაიმაგროთო, მაგრამ ეს ბოდიში მეტია, ოღონდ ქალებმა იმ პატარა ლამპებით თავები დაიმშვენონ, თორემ ხუთ გირვანქიანის მაგიერ ხუთ ფუთიანს ბატარეას გაიმაგრებენ და ატარებენ. მაშინ აღარც ქალაქებს მოუნდებათ ილიუმინაციების გამართვაზედ ხარჯი და აღარც ქონისა და ნავთის ჭრაქებით ჭვარი აუროლდება. გამოუშვან ხოლმე ქუჩებში ელექტრიულ ლამპებით თავებ განათებული ქალები და ქუჩებსაც გაანათებენ და მაყურებელთაც მეტს სიამოვნებას მისცემენ!

—

კრაშევსკის ძველი ქუდი. ჩვენისთანა ხალხში მარტო გარეგანს ნიშანს,—ჩინს, ორდენებს, კოკარდასა აქვს პატივი. ის არის ყოვლად კარგი და სამაგალითო კაცი, ვინც მარტო თავის პირადობისთვის ზრუნავს და იმისი გარეშემო ყველაფერი თუნდა წყალმა-წაიღოს. თუ სადმე სანთლით მოძებნეთ იმისთანა კაცი, რომ უსასყიდლოდ და უანგაროდ საზოგადოებას ემსახურება, იმ უბედურს ბევრსაც დასცინიან, თორემ არაფერ პატივისცემაში კი არ არის. იმას ისე უყურებენ, როგორც სალოცავს, მთვარიდამ ჩამოვარდნილს კაცს, რომელზედაც ამბობენ: «ემენდე! ის დალოცვილი ღმერთი იმისთანა კაცს აძლევს ნიჭს, ვისაც მოხმარება არ შეუძლიან! მე რომ მაგისი კალამი მქონდეს, მამი-ჩემის სათვალავს გეფიცებით, მთელ ქვეყანას აი ესე ამოვაბრუნებდი!» და თან მარჯვენა ხელის გულს ზევით ხელ-უკუღმა ამოატრიალებს.

ევროპის განათლებულ ქვეყნებში სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. აი ერთი უბრალო მაგალითი,—რა პატივში არიან ისინი, ვისაც თავისი ნიჭი და სიცოცხლე საზოგადოებისთვის შეუწირავს.

გამოჩენილი პოლშელი მწერალი კრაშევსკი ქ. პოში მგზავრობის დროს ერთს მაღაზიაში შესულა და ქუდს შეჰკაჭრებია. მაღაზიის პატრონს მალიან იაფად შეუძლევია ქუდი, მხოლოდ იმ პირობით, თუ კრაშევსკი თავის ძველს ქუდს იქ დასტოვებდა, კრაშევსკი ვერ მიმხვდარა-რად უნდოდა ვაჭარს იმისი ძველი ქუდი და, რასაკვირველია, მიუცია. მოხერხებულმა ვაჭარმა ის ძველი ქუდი მეორე დღეს ფანჯარაში დასდო შესაფერი ზედ წარწერით და ეს ქუდი იმავე დღეს ერთმა ინგლისელმა ოც თუმნად იყიდა.


# განცხადებანი

—

მგზავრის შენიშვნები

((თბილისიდამ პეტერბურღამდის))

ე. მ. კასუმოვისა. ისყიდება თბილისში: წიგნის მაღაზიებში გ. ვ. ბერენშტამისა და «ცენტრალურ წიგნის ვაჭრობა» შავერდოვის სააგენტოში გოლოვინსკის პროსპექტზე და წიგნის მაღაზიაში «კავკასიის წიგნის ვაჭრობა» ზ. პ. გრიგოროვისა, მიხაილოვის ხიდზე, ფასი პირველის ნაწილისა 35 კ. (2—1)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—1)

## ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 12 აგვისტოს მდგომარის 1883 წლისა, დილის თორმეტს საათზე, ქ. ტფილისს, თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თავადის გრუზინსკის სახლებში, საზოგადო ვაჭრობით გაიყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სასესხო გადასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე 19 §-ის თანხმად, შეავსებენ ბანკის სასესხო გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ვალიდამ ზედ დამატებით სხვა და სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზედ გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სასესხო ფული შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუმც ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იმავე 31 აგვისტოს ქალაქს თბილისს, თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

### თბილისის გუბერნიის, მისივე მაზრისა.

მაღალოვისა, დავით იასების-ძის, პოლკოვნიკისა: თელოვანის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1973 მან. 47 კაპ., შესავს. გადასახ. 123 მან. 98 კაპ. სულ 2097 მან. 45 კაპ.

მაღალოვისა, სოფიო იასების ასულის, კოლლეჟსკი რეგისტრატორის ქვრივისა: თელოვანის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ.: თავნი ვალი 2968 მან. 61 კ., შესავს. გადასახ. 197 მ. 64 კ. სულ 3166 მ. 25 კ.

### ქ. თბილისს.

მელიქოვისა, ანნა იკანეს ასულის, მოქალაქისა: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში, ბალის ქუჩაზე სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ამისთანავე ფლიგელით და მიწა, 204 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 26551 მ. 89 კ., შესავს. გადასახ. 1663 მ. 41 კ. სულ 28215 მ. 30 კ.

ბელოისა, ევგენი ტიმოთეს-ძის, კოლლეჟსკი ასესსორისა: 1 განყოფილებაში, მე-3 ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე, სამ-ეტაჟიანი ქვითკ. სახლი მაღაზიებით და მიწა, 118 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 53423 მ., შესავსებელი გადასახადი 3733 მ. 67 კ. სულ 57156 მ. 67 კ.

ბარათაშვილისა, ნინო ალექსანდრეს ასულის, თავადისა: 1 განყოფ., მე-2 ნაწილში, ახალ-ბებუთოვის და კონსულის ქუჩებზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 108 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 20619 მ. 40 კ., შესავს. გადასახ. 1759 მ. 90 კ. სულ 22379 მ. 30 კ.

ბაბაევისა, დავით ვასილის-ძის, მოქალაქისა: მე-2 განყოფილებ., მე-11 ნაწილში ორი ქვითკირის ორ-ეტაჟიანი სახლები, მაღაზიები და მიწა, 183 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 20619 მ. 40 კ., შესავსებელი გადასახ. 1355 მ. 16 კ. სულ 21974 მ. 56 კ.

ბექანბეგოვისა, ალექსანდრა თომას ასულის, ტიტულიარნი სოვეტნიკის ქვრივისა: 1 განყოფ., 1 ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ორი ქვითკირის ორ-ეტაჟიანი სახლები ფლიგელებითურთ და მიწა, 335 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 34874 მ. 77 კ., შესავსებელი გადასახ. 2865 მ. 27 კ. სულ 37740 მ. 04 კ.

კუსიკოვისა, იკანე სერგიას-ძის, მოქალაქისა: 1 განყოფ., მე-4 ნაწილში, ქუჩაზე, რომელიც მოდის ერევნის მოედნიდან სალდათის ბაზრისაკენ, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლები, მაღაზიებით და მიწა, 192 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 70293 მ. 42 კ., შესავსებელი გადასახადი 4590 მ. 14 კ. სულ 74883 მ. 56 კ.

ლიპინსკისა, რომუალდ-ალექსანდრე ფრანცის-ძისა, კოლლეჟსკი ასესსორისა: მე-2 განყოფილებაში, მე-2 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, ორი ქვითკირის ერთ-ეტაჟიანი სახლები ფლიგელებითურთ და მიწა, 527 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 11246 მ. 95 კ., შესავსებელი გადასახ. 634 მ. 04 კ. სულ 11880 მ. 99 კ.

სტეპურენკოისა, პელაგია კონდრატის ასულის, გადამდგარის მაიორის მეუღლისა: 1 განყოფ., 1 ვერის ნაწილში, უსახელო ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა 350 კვადრ. საჟ.: თავნი ვალი 12391 მ. 31 კ., შესავსებელი გადასახ. 736 მ. 3 კ. სულ 13127 მ. 34 კ.

იორდანოვებისა: ელისაბედ, დავით, სიმონ, ზაქარი, ილია და ანტონ გიორგის-ძეთა, მოქალაქეთა: მე-2 განყოფ., აგურის ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 259 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12397 მ. 27 კ., შესავსებელი გადასახადი 1595 მან. 30 კაპ. სულ 13992 მან. 57 კაპ. (3—3)


ინგლისის მაღაზიაში

**თმის-აღმომყვანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—100)



**მაკ-მასტერი**

აქვე ისყიდება ქინის პომადი თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ფურცლის მღებავი.

**შპალერები**

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადესის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნაღდათ მყიდველთ დაეთმობათ. (40—32)

საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვრისა კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—39)

2000 ბოთლი ციტრატ-მაგნეზიისა წყურვილის მოსაკლავად 80 კ., 1000 ყავის საფქავი 1 მანეთიდამ, 3000 საურველი 20 კაპეიკიდამ, 4000 ჩამოსაკიდებელი 5 კ. ინგლისის მაღაზიაში.

იქვე კარბოლის პარაშოკი, უნაგირები, რევოლვერები, ჩულქები, წინდები და გუტაპერჩის პალტოები 25% იაფად სხვებზედ. პარუსინა და კაცის წამოსასხამები ნახევარ ფასად. (10—5)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ და-ხელ პირველიდამ 16 კათათვემდე 1883 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. $5\frac{1}{2}$

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $3\frac{1}{2}$

მეორისა — — —1 გ. 3 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გ. 5 კ.

მეორისა — —1 გ. 4 კ.

მესამისა — —1 გ. $3\frac{1}{2}$

ძროხის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში 1 გ. $5\frac{1}{2}$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 4 კ.

მესამისა — —1 გ. $3\frac{1}{2}$

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის—1 გ. 8 კ.

მეორის — —1 გ. 7 კ.

სუკი . . . —1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 8 კ.


**რკინის გზა**

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

*Дозв. цензурою Тифлисъ, 6 Іюля 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.